

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „უნივერსალი“ (შემდგომში „საზოგადოება“) დარეგისტრირდა 2006 წლის 4 ივლისს.
2. საზოგადოების პარტნიორები მისი რეგისტრაციის მომენტიდან დღემდე არიან შემდეგი პირები: საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანია სს „სტაბილბანკი“ (საზოგადოების 15% წილის მესაკუთრე), ჯერსის კუნძულზე რეგისტრირებული კომპანია „ჯორჯიანზ ინ ბიზნეს“ (საზოგადოების 60% წილის მესაკუთრე) და საქართველოს მოქალაქე და რეზიდენტი გიორგი ჭიფხია (საზოგადოების 25% წილის მესაკუთრე).
3. საზოგადოების დირექტორად, პარტნიორთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, საზოგადოების რეგისტრაციის მომენტში დაინიშნა და დღემდე მსახურობს საქართველოს მოქალაქე და რეზიდენტი ესმა ღურწკაია.
4. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო, პარტნიორთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, დაკომპლექტდა შემდეგი სამი წევრისაგან: გიორგი ჭიფხია, „ჯორჯიანზ ინ ბიზნესის“ ნდობით აღჭურვილი პირი, რომი ბრეინიაკი (აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის ორმაგი მოქალაქე), და ანდრო ბაღდასაროვი (აშშ-სა და საქართველოს ორმაგი მოქალაქე).
5. საზოგადოებასა და ესმა ღურწკაიას, როგორც დირექტორს შორის, აგრეთვე, საზოგადოებასა და გიორგი ჭიფხიას, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრს შორის, არ არის გაფორმებული რაიმე სახის მომსახურების, თუ შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი ხელშეკრულება.
6. საზოგადოებასა და რომი ბრეინიაკს შორის გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც რეგულირდება ინგლისის კანონმდებლობით (ხელშეკრულების ტექსტის ამონარიდები იხილეთ დანართში). რომი ბრეინიაკი საქართველოში მხოლოდ ერთხელ არის ნამყოფი, ტურისტის სტატუსით. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში და საზოგადოების მართვაში რომი მონაწილეობდა და მონაწილეობს მხოლოდ დისტანციურად ლონდონის ოფისიდან, სკაიპის, ელ-ფოსტის, ფაქსისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.
7. საზოგადოებამ სს „სტაბილბანკისაგან“ 2007 წლის 1 მარტს მიიღო 8 (რვა) წლიანი სესხი 1,000,000.00 ლარის ოდენობით (პირველი ტრანში). იგივე ხელშეკრულება ითვალისწინებდა 2011 წლამდე დამატებითი 1,000,000 ლარის სესხის გაცემას (მეორე ტრანში) საზოგადოების სასარგებლოდ. სესხის ხელშეკრულების მიხედვით, სესხი არის არაუზრუნველყოფილი და მას ერიცხება 18%-იანი წლიური საპროცენტო სარგებელი. სესხის ძირისა და დარიცხული პროცენტის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად 3 რიცხვამდე. სესხის გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში საზოგადოებას ეკისრება

პირგასამტეხლო ვადადამდგარი და შეუსრულებელი სასესიო ფულადი ვალდებულების 10%-ის ოდენობით ერთჯერადად, ყოველ დარღვევის ფაქტზე, ხოლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, იგივე ოდენობის 0.2%. პირველი და მეორე ტრანშების გაცემა რეგულირდება ერთი და იმავე ხელშეკრულებით და ამ სესხების გაცემის და გადახდის პირობები იდენტურია. სესხის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს მეორე ტრანშის გაცემისათვის რაიმე წინაპირობის არსებობას.

8. აღნიშნულ სესხს საზოგადოება ემსახურებოდა სესხის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად 2009 წლის 3 სექტემბრამდე, აღნიშნული ვადის შემდეგ, ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო საზოგადოებამ სესხის მომსახურება შეწყვიტა. ამ მიზეზით სს „სტაბილბანკმა“ უარი თქვა მეორე ტრანშის გადარიცხვაზე და საყვედურის წერილი გაუგზავნა საზოგადოებას, საზოგადოების სხვა პარტნიორებს, დირექტორსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს.

9. გიორგი ჭიფხია და „ჯორჯიანზ ინ ბიზნესის“ ერთ-ერთი ბენეფიციარი მესაკუთრე და ერთადერთი დირექტორი, მეგი გურჯინი, 50-50 პროცენტს ფლობენ საქართველოში რეგისტრირებულ და მოქმედ კომპანიაში, შპს „შენებას რა უნდა“.

10. შპს „შენებას რა უნდა“ 2007 წლიდან აშენებს მრავალსართულიან საცხოვრებელ და საოფისე ფართებს თბილისის სხვადასხვა უბანში. საბურთალოზე, ალექსიძის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობისათვის 2008 წლის იანვარში კომპანიამ, შპს „შენებას რა უნდა“, აიღო სესხები ბანკებისაგან, სს „სტაბილბანკი“ და სს „ქართული ბანკი.“ აღნიშნული სესხების უზრუნველსაყოფად საზოგადოებამ (შპს „უნივერსალი“) განაცხადა თანხმობა, იპოთეკით დაეკვირთა ორივე ბანკის სასარგებლოდ, საზოგადოების კუთვნილი უძრავი ქონება: დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 500 კვ.მ. ფართობის მქონე საოფისე ფართი, რომელსაც საზოგადოება იყენებდა საწყობად და ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე 800 კვ.მ. ფართობის სარდაფი, სადაც მოწყობილი იყო რესტორანი „გურმანი“.

11. სოლიდარული თავდებობისა და იპოთეკის ხელშეკრულებების გაფორმების საკითხი საზოგადოების პარტნიორთა კრებაზე არ განხილულა. ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, რომელზეც საბჭოს წევრებმა ერთხმად განაცხადეს, რომ რეალურად აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენდა საზოგადოების პარტნიორთა უმრავლესობის გადაწყვეტილებას და, შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სოლიდარული თავდებობისა და იპოთეკის ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ. აღნიშნულ ხელშეკრულებებს ხელი მოაწერა ღურწკაიამ. აღსანიშნავია, რომ ამ გარიგებასთან დაკავშირებით ღურწკაიას რაიმე მოსაზრება არ გამოუთქვამს და არც რაიმე კომუნიკაცია ჰქონია ვინმესთან საზოგადოებაში.

12. 2009 წლის ოქტომბერში კომპანიის, შპს „შენებას რა უნდა“, მიერ აღებული სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო სს „სტაბილბანკმა“ და სს „ქართულმა ბანკმა“ აამოქმედეს უზრუნველყოფის ღონისძიებები, მათ შორის, მოხდა საზოგადოების კუთვნილი და აღნიშნული სესხების უზრუნველსაყოფად დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია აუქციონზე. ოქტომბერშივე ქონება გაიყიდა ჯამში 1,000,000 ლარად, რაც დამოუკიდებელი აუდიტორის შეფასებით წარმოადგენდა მოცემული ქონების საბაზრო ღირებულების 70%-ს. ორივე ფართი იყიდა ლიზინგის კომპანიამ, შპს „საბანკო ლიზინგი“, სადაც 30%-30% წილები ეკუთვნის ბანკებს, სს „ქართული ბანკი“ და სს „სტაბილბანკი“.

13. 2009 წლის 1 ნოემბერს საზოგადოებასა და შპს „საბანკო ლიზინგს“ შორის გაფორმდა 10 წლიანი იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სარგებლობაში გადაეცა საზოგადოებას დუმბაძისა და ქავთარაძის ქუჩებზე მდებარე ფართები. დუმბაძეზე მდებარე ფართის ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენს 7500 ლარს, ხოლო ქავთარაძეზე მდებარე ფართის ყოველთვიური საიჯარო ქირა – 12500 ლარს გადასახადებისა და კომუნალური გადასახდელების გარეშე. საზოგადოება მოცემული იჯარის საფასურს იხდის სრულად და დროულად.

14. 2011 წლის 1 დეკემბერს შპს „აფთიაქსა“ და სს „ქართულ ბანკს“ შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება. შპს „აფთიაქში“ 40% წილი ეკუთვნის გიორგი ჭიფხიას, ხოლო 15% წილი ეკუთვნის ესმა ღურწკაიას მეუღლეს ივანე იმერლიშვილს. აღნიშნული სესხის ხელშეკრულების სესხის მიმღები პირების სოლიდარულ თავდებად დადგა საზოგადოება. აგრეთვე, იპოთეკით დაიტვირთა საზოგადოების კუთვნილი უძრავი ქონება, აბაშიძის ქუჩაზე მდებარე 70 კვ.მ. ფართობის მქონე სარდაფი, სადაც განთავსებული იყო საზოგადოების საცხობი „ფუნთუშა“. საცხობს, „ფუნთუშა“, საზოგადოებისათვის მოაქვს ყოველთვიური მოგება, საშუალოდ, 8500 ლარის ოდენობით.

15. სოლიდარული თავდებობისა და იპოთეკის ხელშეკრულებების გაფორმების საკითხი გადაწყდა სატელეფონო საუბრის დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ კომპანიის „ჯორჯიანზ ინ ბიზნეს“ დირექტორი, ჭიფხია და ღურწკაია, ჭიფხიამ ღურწკაიას უთხრა, რომ საქმე ეხებოდა წინა წლებში გაფორმებული გარიგების მსგავს გარიგებას და რომ ღურწკაიას ხელი უნდა მოეწერა ამ იპოთეკასა და სოლიდარულ თავდებობაზე. „ჯორჯიანზ ინ ბიზნესის“ დირექტორმა ამავე სატელეფონო საუბარში აღნიშნა, რომ ალბათ სს „სტაბილბანკის“ წარმომადგენელი პროტესტს გამოხატავს და საყვედურს გვეტყვის ამ გადაწყვეტილების გამო, მაგრამ მაგათ გავაჩუმებთ და გავახსენებთ, რომ თავის დროზე ქონება, რომ დაგკარგეთ იმის ბრალი იყო, რომ დამატებითი ინვესტიცია არ

შემოიტანეს კომპანიაში და შემდეგ, კარგად გახსოვთ, ჩვენი ქონება მაგათ კომპანიას დარჩა საბოლოოდ და ახლა იქეთ ვუხდით ფულსო.

16. 2013 წლის 1 თებერვალს კომპანიის, შპს „აფთიაქის“, მიერ აღებული სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, სს „ქართულმა ბანკმა“ აამოქმედა უზრუნველყოფის ღონისძიებები, მათ შორის, მოხდა საზოგადოების კუთვნილი და შპს „აფთიაქის“ სესხების უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონების (აბაშიძეზე ფართი) გაყიდვა აუქციონზე. აღნიშნული ფართი საბაზრო ფასად, 80,000 აშშ დოლარის ექვივალენტად იყიდა საცხოვების ქსელის ოპერატორმა კომპანიამ, შპს „ცომეული“.

17. 2008 წლის ზამთარში დირექტორმა მიმართა რთი ბრენიაკს წესდების 16.1 მუხლის განმარტებისთვის. რთის მიერ გამოგზავნილ წერილში მითითებული იყო, რომ სანამ სამეთვალყურეო საბჭო დაადგენს კონკრეტულ ოდენობას დირექტორს შეუძლია ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილებები.

18. საზოგადოების დირექტორს არასოდეს შეუდგენია წლიური ფინანსური ანგარიში ან ბიუჯეტი და, შესაბამისად, არასოდეს წარუდგენია წლიური ფინანსური ანგარიში ან ბიუჯეტი დასამტკიცებლად საზოგადოების პარტნიორთა კრების წინაშე.

19. სამეთვალყურეო საბჭოს არცერთ გადაწყვეტილებაში წერილობით არ არის დაფიქსირებული შესაბამისი გარიგების მიზანშეწონილობა და რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებდნენ ვითარებას და ღებულობდნენ გადაწყვეტილებას.

20. 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დამოუკიდებელი აუდიტორისა და შემფასებლის მიერ შედგენილი დასკვნის თანახმად კომპანიაში 100% წილის ღირებულება შეადგენს 55,480,844 ლარს.

21. 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, დამოუკიდებელი აუდიტორისა და შემფასებლის მიერ შედგენილი დასკვნის შედეგად კომპანიის 100% წილის ღირებულება შეადგენს 38,467,923 ლარს.

22. სს „სტაბილ ბანკმა“ შეიტანა სასარჩელო განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოში დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ. სასარჩელის შეტანის დროისათვის გიორგი ჭიფხია გარდაცვლილი იყო, შესაბამისად, გიორგი ჭიფხიას ნაცვლად მოპასუხედ დასახელდა მისი მეუღლე ნანა შელია.

23. სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელე:

23.1. საზოგადოების სახელით ითხოვს, დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრისაგან ცალ-ცალკე და სოლიდარულად კომპანიისათვის იმ ზიანის ანაზღაურებას რაც კომპანიას მიაღვა:

23.1.1. ქავთარაძისა და დუმბაძის ფართებით სარგებლობისათვის გადახდილი იჯარის საფასურის გადახდის შედეგად;

23.1.2. საცხოობი „ფუნთუშასათვის“ განკუთვნილი უძრავი ქონების დაკარგვისა და შესაბამისად, ამ ქონების გამოყენების შეუძლებლობის გამო მიუღებელი შემოსავლის შედეგად;

23.2. ითხოვს დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრისაგან ცალ-ცალკე და სოლიდარულად მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რაც მოსარჩელეს მიაღვა:

23.2.1. საზოგადოების კაპიტალში კუთვნილი წილის გაუფასურების შედეგად;

23.2.2. საზოგადოებისათვის გაცემული სესხის ძირისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის საზოგადოების მიერ გადაუხდელობის შედეგად;

24. მოპასუხეები არ ცნობენ სარჩელს და ამტკიცებენ, რომ:

24.1. რომ ბრენიაკის წინააღმდეგ მოთხოვნები არ არის საქართველოს სასამართლოს განსჯადი;

24.2. ნანა შელია არ არის პასუხისმგებელი გარდაცვლილი მეუღლის, როგორც საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, ქმედებებზე;

24.3. მოსარჩელეს არ აქვს უფლება საზოგადოების სახელით დააყენოს მოთხოვნები ზიანის ანაზღაურების შესახებ;

24.4. ნებისმიერ შემთხვევაში დირექტორსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს არ დაურღვევიათ საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით განსაზღვრული ვალდებულებები.

დანართი №1

საზოგადოების წესდება

მუხლი 14. პარტნიორთა კრება

14.1. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

ა) წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;

...

ვ) ვალდებულებათა უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას;

მუხლი 16. სამეთვალყურეო საბჭო

1. სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია იმსჯელოს მის გამგებლობაში შემავალი საკითხების გადაწყვეტისას, მიზანშეწონილობაზე, განსაზღვროს სავარაუდო რისკები და მიიღოს კომპანიის ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილება;
2. სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია აკონტროლოს დირექტორის საქმიანობა, რისთვისაც იგი უფლებამოსილია მოითხოვოს დირექტორისაგან ინფორმაცია;
3. საზოგადოების დირექტორს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით აქვს უფლება მოახდინოს საზოგადოების უძრავი ქონების დატვირთვა, ინვესტიციების დაბანდება და ამოღება, ნებისმიერი ოდენობის სესხის აღება და გაცემა და უზრუნველყოფა. ასევე, ნებისმიერი სახის გარიგების დადება თუ გაირგების ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას.

მუხლი 19. დირექტორი

1. საზოგადოების დირექტორი ვალდებულია ჯეროვანი გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერად გაუძღვეს საზოგადოების საქმიანობას;

2. საზოგადოების დირექტორი ვალდებულია ყოველი წლის ოქტომბერში მოამზადოს მომავალი წლის ბიუჯეტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს იგი პარტნიორთა კრებას;
3. საზოგადოების დირექტორი ვალდებულია საანგარიშო წლის მომდევნო წლის მარტამდე მოამზადოს წლიური ანგარიში და დასამტკიცებლად წარუდგინოს საზოგადოების პარტნიორთა კრებას.

მუხლი 28. ზოგადი პირობები

4. საზოგადოებასა და სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს შორის შესაძლებელია გაფორმდეს ცალკე ხელშეკრულება, რომელიც დაარეგულირებს თითოეული წევრის ვალდებულებას, მომსახურების პირობებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურებას და სხვა საკითხებს. ასეთი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს უპირატესი ძალა აქვთ ამ წესდებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრისათვის დადგენილ ვალდებულებებსა და პირობებზე, გარდა წესდების იმ პირობებისა რომელიც ეხება და არეგულირებს ხმის მიცემას, საბჭოს სხდომის მოწვევას და ჩატარებას, სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციასა და საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი №2

როი ბრენინაკთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება

მუხლი 5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის (დაქირავებული პირის) მოვალეობები

5.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაქირავებული პირი ვალდებულია

1. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მოვალეობა;
2. თავიდან აიცილოს ისეთი გარიგებები, რომელიც ხელსაყრელია დაქირავებულისთვის, მაგრამ ზიანს აყენებს საზოგადოებას; და
3. არ განახორციელოს ისეთი ქმედებები, რომლებიც ზიანს მიაყენებენ კომპანიას და დაკავშირებულ პირებს (თუ ეს არ ეწინააღმდეგება კომპანიის ინტერესებს).
2. დაქირავებული ვალდებულია ყოველთვის სწრაფად და სრულად მიაწოდოს დირექტორს, აქციონერს (პარტნიორს) და საზოგადოების კრედიტორებს ინფორმაცია (საჭიროებისამებრ წერილობითი ფორმით) მისი საქმიანობის, კომპანიის ფინანსების ან საქმეების შესახებ.
3. დაქირავებული პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობით ფორმით და აქციონერების მიერ განსაზღვრული წესით აცნობოს აქციონერებს დაქირავებული პირის ინტერესის შესახებ რომელიც მას გააჩნია საზოგადოების გარდა ნებისმიერ სხვა სამეწარმეო საქმიანობაში.
4. დაქირავებულის სამუშაო ადგილია მისი ოფისი, რომელიც მდებარეობს მისამართზე: დიდი ბრიტანეთი, ლონდონი, ბერკლის ქუჩა 3.

20. მარეგულირებელი კანონმდებლობა და იურისდიქცია, კანონი კონტრაქტების შესახებ (მესამე პირთა უფლებები)

20.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად, კოლიზიური ნორმების გამოყენებისა და

გათვალისწინების გარეშე. თითოეული მხარე, ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ექვემდებარება ინგლისის სასამართლოების ექსკლუზიურ იურისდიქციას წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით (მათ შორის, და არამხოლოდ, ხელშეკრულების ნამდვილობასთან, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებასთან დაკავშირებით) წარმოქმნილ ნებისმიერ დავასთან მიმართებაში და უარს აცხადებს იმის მტკიცებისგან, ინგლისის სასამართლოში სამართალწარმოების დაწყების შემთხვევაში საქმე აღიძრა არასათანადო ადგილას.

20.2 თუ წინამდებარე ხელშეკრულებაში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს განზრახული არ აქვთ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობა სისრულეში იქნას მოყვანილი კონტრაქტების შესახებ 1999 წლის კანონის (მესამე პირთა უფლებები) შესაბამისად იმ პირის მიერ, რომელიც არ არის წინამდებარე ხელშეკრულების მხარე.

20.3 თითოეული მხარე წინამდებარეთი უპირობოდ ნიშნავს და უფლებამოსილებას ანიჭებს Law Debenture Corporate Services Limited-ს, რომლის რეგისტრირებული მისამართია: Fifth Floor, 100 Wood Street, London EC2V 7EX, England, რათა მან იმოქმედოს მისი უფლებამოსილი აგენტის სახით, მიიღოს მათი (თითოეული მხარის სახელით) მოთხოვნის ფორმა, სასამართლოს გამოძახება და შეტყობინება ნებისმიერ საქმესთან ან პროცესთან (სამართალწარმოებასთან) დაკავშირებით, რომელიც ნებისმიერი მხარის მიერ აღიძვრება წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

მუხლი 28. ზოგადი პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობის ბათილობა ან ძალის დაკარგვა არ იწვევს ამ ხელშეკრულების რომელიმე სხვა პირობის ბათილობას ან ძალის დაკარგვას;
2. ეს ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა შორის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ერთადერთ და საბოლოო შეთანხმებას.

მხარეთა ხელმოწერები:

დაქირავებული:

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი: რი ბრეინიაკი [ხელმოწერილია]

დამქირავებლები:

საზოგადოების სახელით [ხელმოწერილია]

საზოგადოების პარტნიორები:

სს “სტაბილბანკი” [ხელმოწერილია]

“ჯორჯიანზ ინ ბიზნეს” [ხელმოწერილია]

გიორგი ჭიფხია [ხელმოწერილია]